



საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N11 – Pay Sticker

1. **Pay Sticker**-ის საშუალებით შესაძლებელია განხორციელდეს გადახდა, პოს ტერმინალთან **Pay Sticker**-ის მიტანის გზით.
2. **Pay Sticker**-ი აღჭურვილია **უკონტაქტო აპლიკაციით**, რომლის საშუალებითაც გადახდა წარმოებს **PIN კოდის** გარეშე, მაქსიმუმ 100 (ასი) ლარის ფარგლებში.
3. **Pay Sticker**-ი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი Mastercard-ის ტიპის სადებეტო/საკრედიტო **ბარათის** (გარდა American Express, sCool Card, Student Card და Maxima ბარათებისა) **დამატებითი ბარათი**.
4. **Pay Sticker**-ი დაკავშირებული იქნება შესაბამისი **ბარათის ანგარიშთან** და შესაბამისად გადახდა განხორციელდება ამ **ანგარიშიდან**.
5. **Pay Sticker**-ი საშუალებით შესაძლებელია გადახდა განხორციელდეს:
 - 5.1. სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტებში.
 - 5.2. ტრანსპორტსა (ასეთის შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში) და თბილისის საბაგირო გზებზე.
 - 5.3. დისტანციურ არხებში: **თვითმომსახურების ტერმინალი, მობილ ბანკი, ინტერნეტ ბანკი**.
6. **Pay Sticker**-ის საშუალებით შესაძლებელია **კლიენტმა** გაიაროს იდენტიფიკაცია **თვითმომსახურების ტერმინალთან**.
7. **Pay Sticker**-ის გამოყენებისას წარმოებს PLUS ქულების დარიცხვა. PLUS ქულების დარიცხვის, მათი გამოყენების/გადაცვლის წესი და სხვა დამატებითი პირობები ხორციელდება ურთიერთობის პროგრამა PLUS-ის პირობების შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge